ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო

რა არის კასტრაცია-სტერილიზაცია?

კასტრაცია-სტერილიზაცია მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვის, მსოფლიოში აპრობირებული, ერთადერთი ჰუმანური და ეფექტური მეთოდია, რომელიც ქირურგიული ოპერაციის შედეგად, ცხოველის რეპროდუქციული უნარის შეწყვეტას გულისხმობს.

რატომ კასტრაცია-სტერილიზაცია?

- **პოზიტიურად ცვლის ცხოველის ქცევას - მცირდება აგრესია და ტერიტორიის მონიშვნის სურვილი**
- **მნიშვნელოვნად ამცირებს სიმსივნური და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების რისკს**
- **დაახლოებით 3-5 წლით ზრდის ცხოველის სიცოცხლის ხანგრძლივობას**
- **ხვადი აღარ დატოვებს სახლს ძუ ძაღლთან შეჯვარების მიზნით, რაც ამცირებს თქვენი ცხოველის დაკარგვის საშიშროებას**
- **დაგიზოგავთ თანხას - ბევრად უფრო ეფექტიანია ცხოველის სტერილიზაცია, ვიდრე არასასურველი მაკეობის თავიდან არიდება**
- **შემცირდება ქუჩის ცხოველების რაოდენობა.**

! მოქმედი კანონმდებლობის თანახმად: „ცხოველის პატრონი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთრებაში მყოფი შერეული (მეტისი) ჯიშის ცხოველის გამრავლების შესაძლებლობის შეწყვეტა ქირურგიული (სტერილიზაცია/ კასტრაცია), ან სხვა, ცხოველისათვის უვნებელი, საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული მეთოდით.“

იცით თუ არა, რომ არაკასტრირებულ და არასტერილურ კატას, დაახლოებით, 4-5 თვის ასაკიდან, ხოლო ძაღლს 6-7 თვის ასაკიდან, აღნიშნული ტემპით შეუძლია გამრავლება?

1 წელში - 16	1 წელში - 12
2 წელში - 128	2 წელში - 67
3 წელში - 512	3 წელში - 376
4 წელში - 2048	4 წელში - 2107
5 წელში - 12288	5 წელში - 11801
6 წელში - 67000	6 წელში - 66088

აღნიშნული ჩაოდენობა მითითებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო ახორციელებს მიუსაფარი ცხოველების უფასო კასტრაცია-სტერილიზაციისა და ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო) ვაქცინაციის პროგრამას.

პატრონიანი ცხოველისათვის კასტრაცია-სტერილიზაციის ოპერაციის საფასური:

კასტრაცია - 60 ლარი | სტერილიზაცია - 80 ლარი

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოში რეგიონში საუკეთესო ექიმი-ვეტერინარები მუშაობენ, რომელთაც კასტრაცია-სტერილიზაციის ათასობით ოპერაცია აქვთ ჩატარებული და ასობით ცხოველი ჰყავთ გადარჩენილი.

ტელ.: 032 2 421 424 | www.ama.gov.ge